ПРОЛЕТАРЕБО ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 81 (13202) | ოთხშაბათი, 7 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადობა, მეგობრობა

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

გარშავა, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობაში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ნ. ი. კრილოვი, ტ. ტ. ერასეიოვი, ვ. ი. დრუზდენკო, ა. ბ. არისტოვი, დელეგაციის მრჩევლები.

პოლონეთის მხრივ: ამხანაგები ვ. გომულკა, ი. ცირანკევიჩი, ზ. კლიშკო, ა. რაპაცკი, ხ. ენდრიხოვსკი, მ. ხეიბალსკი, ბ. ოიშჩუკი, ვ. ვიზა, მ. ნაშკოვსკი, ე. პშრულოვსკი, დელეგაციის მრჩევლები.

მოლაპარაკების დროს, ოთმელიც ძმური მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთობების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო ფართო წრის პრობლემებზე.

ვარშავა, 6 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს დილით მინისტრთა საბჭოს შენობაში კვლავ დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის.

უღოცავენ ფინეთის ხალხს

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მე-17 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კეკონენსა და ფინეთის პრემიერ-მინისტრს ო

მინდორს უტევს მექანიზატორი

სასოფლო - სამეურნეო წარმოების ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მისი უზრუნველყოფა მექანიზატორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრებით. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დიდი ხანია სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მექანიზატორი ცმნტრალური ფიგურაა სოფლად. ამ ადამიანთა კარგ მუშაობაზე არსებითად დამოკიდებულია მოსავლიანობა, საერთო მოსავალი, მეურნეობის შემოსავლის ზრდა, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კმეთილდღეობა.

ბაზაფხული, 1948 წელი. ზაქრო არჩევნიშვილმა რვაწლიანი სკოლა დაამთავრა და მექანიზაციის ტექნიკუმში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. მაგრამ ომის ქარიშხლიანმა დღეებმა დროებით გადაავიწყა სწავლის გაგრძელება და ფრონტზე მოხალისედ წასვლა გადაწყვიტა. 15 წლის ჭაბუკს კეთილი განწყობით შეხვდნენ გურჯაანის რაიონის სამხედრო კომისარიატში, მაგრამ მისი ფრონტზე წაყვანა მაშინ ნაადრევად, მიზანშეუწონლად ჩათვალეს და ზრდილობიანად უკანვე გამოისტუმრეს.

სამხედრო კომისარიატიდან უარით გამოსტუმრებულმა ზაქრომ მშობლიურ კოლმეურნეობას მიაშურა. მალე კოლმეურნეობის გამგეობამ ხელმარჯვე ბიჭი ტრაქტორისტთა მოსამზადებელ კურსებზე გაგზავნა. ზაქრომ იბეჭითა და მექანიზატორის პროფესიას წარჩინებით დაეუფლა. კურსები რომ დაამთავრა, ტრაქტორის საჭე მიუჯდა და თავდადებით შრომობდა. მერე კვლავ მექანიზატორთა სკოლაში გაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იქ ბევრი რამ ახალი ისწავლა და ცოდნით გამდიდრებული დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ზაქარია არჩევნიშვილს თავის პირველ აღმზრდელ მექანიზატორებთან — სიკო მუნჭიშვილთან და მალხაზ რუაძესთან ერთად ერთი წუთითაც არ უღალატნია მექანიზატორის პროფესიისათვის. იგი ხან ტრაქტორის საჭეს მართავდა, ხანაც კომბაინის შტურვალს მიუჯდებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო წარჩინებული მექანიზატორების — **ალექსანდრე ბიტალოვისა** და **ნიკოლოზ მანუკოვსკის** საგმირო შრომითი საქმეების ამბავი. მაშინ ზაქრო არჩევნიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მოჰკიდა ხელი სიმინდის მოვლა-მოყვანას კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით.

ნოვატორ მექანიზატორს ზედმიწევნით ესმის და უყვარს თავისი საქმე, თვალსაჩინოვით უვლის და უფრთხილდება ტექნიკას, ყოველთვის გრძნობს ფოლადის მეგობრის მაჯისცემას. ყოველგვარი კვანძის თუ დეტალის უწესო ხმაურით ზაქარია უმალვე მიხვდება მიზეზს და ასწორებს მას. იგი ტრაქტორს არასოდეს არ გაიყვანს მინდვრად და არ დაიწყებს მუშაობას, სანამ გულმოდგინედ არ შეამოწმებს მანქანას.

სიმინდის მოვლა-მოყვანისას ზაქარია განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს ნიადაგისა და სათესლე მასალის მომზადებას. მისი აზრით, აუცილებელია ნიადაგის კარგად დამუშავება და განოყიერება, სიმინდის თესლის გულმოდგინედ შერჩევა, გაწმენდა, შეწამვლა და დაკალიბრება, შემჭიდროებულ ვადებში თესვა და ნათესების გულდასმით მოვლა. უამისოდ უხვ და მყარ მოსავალს ვერ მოვიკრეფთ.

ჩუმლაიელი შუქურა სასიმინდე ნიადაგს ადრე შემოდგომაზე, მოსავლის აღებისთანავე ხნავს მზრალად 25-30 სანტიმეტრ სიღრმეზე. ასეთ მზრალზე კი ზამთარში მიწა კარგად ინარჩუნებს ტენს.

გაზაფხულის წინ, თებერვლის მეორე ნახევრიდან მექანიზატორს მზრალში შეაქვს სუპერფოსფატი ჰექტარზე სამი ცენტნერის ანგარიშით. მზრალს გადახვავს 16-18 სანტიმეტრ სიღრმეზე. შემდეგ კი მსუბუქი ფარცხით ატარებს ხნულის აოშვას. ყოველივე ამით იგი ნიადაგს კიდეც აფხვიერებს და ტენიანობასაც უნარჩუნებს.

თესვამდე 6-7 დღით ადრე მექანიზატორს ნიადაგში შეაქვს აზოტოვანი სასუქი ჰექტარზე 2,5 ცენტნერის ანგარიშით, ხოლო მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ იყენებს ჰექსაქლორანს. თუ სადმე სარეველებმა ამოყო თავი, ნიადაგს კვლავ გადახნავს და ფარცხავს.

როგორც ცნობილია, ზოგჯერ მანქანის საზომი მაჩვენებლების ბოლოები მოშვებულია და სათესს ლილვებს ედება. ამიტომ მუშაობის დროს მავთული წყდება და მუშაობა ფერხდება, კვადრატების სისწორე ირღვევა. ხანდახან კი თესვის პროცესში ცვლება და ბოლოებს ედება სათესი აპარატის ამსხლეტი ბილანა, რაც თესლის მსხვრევას იწვევს. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ზაქარია არჩევნიშვილს მანქანა წინასწარ მოამყვანს სრულ წესრიგში. გამოცდილი მექანიზატორი გამომთვლი აპარატში დგამს ისეთ დისკოებს, რომლებიც ბუდნაში 2-3 ცალი თესლის მეტს არ უშვებენ. ამის შედეგად კვადრატები ყოველთვის ზუსტია, თესლი არ იბნევა და ზედაპირიდან თესვისაც არა აქვს ადგილი.

სათესლედ ძირითადად იყენებს „კრასნოდარულ-5“-ის ჰიბრიდულ თესლს, რომელიც ადგილზე მიღებული „ყაზბეგ-5“-ისა და „კრასნოდარულ-3“-ის შეჯვარებით. სიმინდის ეს ჰიბრიდი აქაურ პირობებში ყოველმხრივ გამოიცადა და კარგ შედეგებსაც იძლევა. „კრასნოდარული-5“ ადგილად უძლებს სიმინდის ბუზტოვან გუდაფშუტას და ნაკლები რაოდენობით ივითარებს ბარტყებს, დეროც მყარი და გამძლე აქვს, ტაროებს დიდს იკეთებს და მოსავალსაც სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით 25-30 პროცენტით მეტს იძლევა.

ჩუმლაიელ მხვნელ-მთესველებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათ მიერ მოყვანილი სიმინდის ჰიბრიდული თესლით მარაგდება არა მარტო გურჯაანის რაიონის მეურნეობები, არამედ საქართველოს ბევრი სხვა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაც. მაგალითად, შარშან მათ გეგმით გათვალისწინებული 36 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს „კრასნოდარულ-5“-ის 50 ტონა ჰიბრიდული თესლი.

ჩუმლაიის კოლმეურნეობაში სიმინდის სათესლე მასალის მომზადება საყოველთაო საქმედ არის გამოცხადებული. თესავენ მხოლოდ პირველი კლასის დაკალიბრებულ ჰიბრიდს. ეს მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. დაკალიბრებული, საკონტროლო ლაბორატორიის მიერ წინასწარ შემოწმებული თესლი დათესვის წინ კარგად იწმენდება გრანოზანით ან სხვა შხამქიმიკატებით. ამით ჩუმლაიელები თესლს სიიმედოდ იცავენ სოკოვანი დაავადებებისა და მინდვრის მავნებლებისაგან.

როცა მცენარეები სამ-ოთხ ფოთოლს განვითარებენ, იწყება ნათესების პირველი ჭვარედინი კულტივაცია, ჯერ გარდიგარდმო, ხოლო შემდეგ — გასწვრივ. კულტივაციის სიღრმე 8-10 სანტიმეტრს შეადგენს. რამდენიმე დღის შემდეგ იწყება მცენარეთა დამატებითი გამოკვება წუნწუხით და მინერალური სასუქით. საშუალოდ ჰექტარზე შეაქვთ 4-5 ტონა წუნწუხი და 100 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი.

პირველი კულტივაციიდან 10-14 დღის შემდეგ იწყება მეორე კულტივაცია 6-8 სანტიმეტრ სიღრმეზე. კულტივატორზე მოწყობილი სპეციალური სამარჯვის საშუალებით ნაკვეთებში გაჰყავთ ხარ-ყავი კვლები. რწყვა კი მცენარეთა ვეგეტაციის მთელ პერიოდში რეგულარულად წარმოებს საჭიროების მიხედვით.

პირველი კულტივაციის დროს ზაქარია არჩევნიშვილი და მისი მომდევრები ცალმხრივ თათებს არ იყენებენ. ამას იმისათვის აკეთებენ, რომ მიწა არ მიეყაროს ნორჩ მცენარეებს. ხანგაგრძელ მეორე კულტივაციის დროს, როცა მცენარეები შედარებით დიდია, ცალმხრივი თათების გამოყენებას და მცენარეებისათვის მიწის მიყრას არა მარტო სასურველად, არამედ აუცილებლად თვლიან.

ნოვატორმა მექანიზატორმა შარშან ხელის შრომის გამოუყენებლად სიმინდი მოიყვანა 224 ჰექტარზე, რომელთაგან 100 ჰექტარი გაზაფხულის ძირითადი ნათესები იყო, ხოლო 124 ჰექტარი — სანაწვერალო. უამინდობის მიუხედავად ზაქარია არჩევნიშვილმა საგაზაფხულო ნათესების თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 50 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 124 ჰექტარი სანაწვერალო სიმინდის თვითეულ ჰექტარზე — 250 ცენტნერი საილოსე მასა. გარდა ამისა, ჩუმლაიელმა შუქურამ 20 ჰექტარი სანაწვერალო სიმინდის ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი მოიწია.

ჩუმლაიელი კოლმეურნეებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაის რაიონის სახოფლო-სამეურნეო არტელ „უუბანის“ კოლმეურნეებთან გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. უუბანელმა მეგობრებმა ჩუმლაიელებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ტრაქტორებისა და მისაბმელი მოწყობილობის ტექნიკური სრულყოფის დარგში.

გასულ წელს ზაქრო არჩევნიშვილმა და მისმა მიმდევრებმა ჭარბტანით გამოიყენეს უუბანელ თანამოსაქმეთა მიერ დანერგილი ეს შესანიშნავი ხიახლე და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს გუონებისა და კულტივატორების წარმადობის გადიდების საქმეში.

...გაზაფხულია კახეთში, შვიდწლედის დამამთავრებელი წლის გაზაფხულია.

გაცხოველებით შრომობენ მკლავმოუღლელი მიწათმოქმედნი, მეცხოველეები და მექანიზატორები, თავდადებული შრომით დაუღალავად შეაქვთ წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. ზაქარია არჩევნიშვილიც ახლა, მილიონობით სხვა ხაბჭოთა ადამიანთან ერთად, ძალღონის დაუზოგავად იბრძვის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

ნოვატორი მექანიზატორი სავმით ცდილობს საერთო კუთვნილებად გახადოს თავისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება.

ე. მახათაძე.

* * *

 სურათზე: ზ. არჩევნიშვილი.

საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივების კრებებზე

გუშინ გაიმართა ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის საქალაქო და ამბროლაურის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, [illegible] ლანჩხუთის, მარნეულის, ონის, საგარეჯოს, [illegible], ფოთლეკიძის, წალკის, ცხინვალის, წყალტუბოს, ჭიათურაოს რაიონული პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებები. წინადღით გაიმართა ბგრეთვე. **გორის** რაიონული და **ტყიბულის** საქალაქო პარტიული აქტივის კრებები.

ამ კრებების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგებისა და რაიონული, საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

აქტივის კრებების მონაწილეები ერთსულოვნად იწონებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, სიუბრობენ ამ კონკრეტულ გზებზე, რაც დაეხმარებათ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ საკითხზე ყველგან მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუციები.

ახალქალაქის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ა. როდიონოვმა,** ქუთაისის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. **გ. ჩოგოვაძემ,** გორის რაიონული და საქალაქო აქტივის კრებებზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ინაურმა,** საგარეჯოს რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **შ. დოლიძემ.**

საზოგადოებრივი საწყისები იდეოლოგიურ მუშაობაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). იდეოლოგიურ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ დანერგვისა და განვითარების პრაქტიკულ საკითხებს მიეძღვნა პარტიის საქალაქო კომიტეტების იდეოლოგიური განყოფილებების და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეთა ზონალური თათბირი, რომელიც აქ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურმა განყოფილებამ მოიწვია.

თათბირზე ამ დარგში გაწეული მუშაობის, შეძენილი გამოცდილებისა და მომავალი ამოცანების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს კპ ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტების იდეოლოგიური განყოფილებათა გამგეებმა ლ. ფანჩულიძემ და ა. კობახიძემ, პარტიის მაიაკოვსკის, ვანისა და წულუკიძის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა დ. სიგუნავამ, ა. ნადირაძემ და გ. ფირცხალავამ.

მკითხველები ეხმაურებიან წერილს: „ოჯახური რელიქვია თუ დანაშაულის იარაღი?“

ბ ი ბ ლ ი ნ ა რ ე წლის 4 მარტს „**კომუნისტის**“ ფურცლებზე დაიბეჭდა ვრცელი წერილი — „**ოჯახური რელიქვია თუ დანაშაულის იარაღი?**“. ამ წერილში, რომელიც ჩვენმა გაზეთმა „სოვეტსკაია როსიადან“ გადმობეჭდა, რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ვ. **ს. ტოკუნოვი** კომენტარს უკეთებდა ჩრდილოეთ ოსეთის პატარა ქალაქ ორდონში მომხდარი მკვლელობის ერთ ფაქტს.

ამ კერძო შემთხვევას რომ განიხილავს, მინისტრი ამბობს, ისეთი მძიმე დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენაში, როგორიც მკვლელობაა, იარაღი არა უკანასკნელ, არამედ ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებსო. დანაშაულობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია შეუუწყარებლად დაუდეგარი, ზოგჯერ პირდაპირ ქარაფშუტული დამოკიდებულება ეგრეთწოდებული ცივი იარაღისადმი. ზოგი ასე მსჯელობს: „დანა ხომ საშინი იარაღი არ არის, უბრალო, ლამაზი ბრჭყვიალა ნივთია, იდოს ჯიბეში ყოველი შემთხვევისათვის, ვის რას უშლის!“

არა, დაასკვნის მინისტრი, ჩვენს საზოგადოებაში სრულებითაც არ არის საჭირო „ყოველი შემთხვევისათვის“ ინახავდე რამე იარაღს. საზოგადოებრიობამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს იარაღის ტარებისადმი მიდრეკილებას, რასაც ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იჩენს.

სტატიამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. რედაქციაში მოდის მკითხველთა ასობით წერილი, რომელთა ავტორები მკაცრად გმობენ ცივი იარაღის ტარების მავნე ჩვევას, რაც ამ ბოლო დროს გავრცელდა, და მოპყავთ იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ იქცევა ჯიბეში თითქოს შემთხვევით ჩადებული ლამაზი დანა ბოროტმოქმედების იარაღად.

ამ საკითხზე რედაქციაში **შემოსული მკითხველთა წერილების რაოდენობა უკვე 500-ზე მეტია.** ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ყველა წერილის შინაარსი გადმოგცეთ და ყველა ავტორის გვარი დავასახელოთ. გაგაცნობთ მხოლოდ რამდენიმე ავტორის წერილს, რომლებშიც ყველაზე ნათლად არის გამოთქმული საერთო გულისწყრომა და აღშფოთება იარაღის ტარებისადმი და დაყენებულია კონკრეტული წინადადება, თუ რა გზით შეიძლება აღვკვეთოთ ცივი იარაღის ტარება.

„შარშან თბილისში ელბაქიძის დაღმართზე რესტორან „სამაიას“ მახლობლად საშინელი ბოროტმოქმედება მოხდა: ხულგან გარეწართა ჯგუფმა სრულიად უმიზეზოდ მოკლა 22 წლის ახალგაზრდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი, შესანიშნავი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი მ. ადეიშვილი.

ჩვენი გაზეთის მკითხველები **ი. სანებლიძე, გ. ლომიძე, ნ. ბახილაშვილი, ს. ნასიძე** რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში ანალიზს უკეთებენ ამ ფაქტს და სავსებით სამართლიანად დაასკვნიან, რომ ცივმა იარაღმა ამ მკვლელობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

მე ვესწრებოდი სასამართლო პროცესს, — გვწერს გ. ლომიძე, — რომელზეც მ. ადეიშვილის მოკვლის საქმეს არჩევდნენ და გულისწყრომით აღვივსე ალი ახლოდან ამ ბოროტმოქმედთა მიმართ, რომლებმაც უშუალოდ ეს დანაშაული ჩაიდინეს, არამედ აგრეთვე მათი მშობლების, მახლობლებისა და ამხანაგების მიმართ. როგორ მოხდა, რომ მკვლელებს — ლ. მალალაშვილს, გ. ქაჯაიას, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, კომკავშირელებს, რომლებიც წინათ შემჩნეული არ ყოფილან ბოროტმოქმედებაში და არ ჰქონიათ ნასამართლობა, შემთხვევით ატეხილი ჩხუბის დროს ჯიბეში აღმოაჩნდათ დანა და სასროლი იარაღი?

სად იყვნენ მათი მშობლები, ამხანაგები, ნუთუ ერთხელაც არავის არ შეუმჩნევია, რომ ისინი იარაღს ატარებდნენ?

როგორ არა, თურმე შეუმჩნევიათ, სასამართლო პროცესზე გამოვიდნენ მოწმეები, რომლებმაც აღიარეს, რომ ლ. მალალაშვილს ხელში სხვა დროსაც უნახავთ დანა, სწორედ ის დანა, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდინა.

ეინ არიან ეს მოწმეები? მაღალაშვილის ყოფილი ამხანაგები, რომლებიც მის გვერდით ისხდნენ ლექციებზე. მერე და რატომ დროზე არ მიიღეს ზომები, რატომ არ აიძულეს ამხანაგი აღეკვეთა დანის ტარება? დარწმუნებული ვარ, ცივი იარაღი რომ არა, უბედურება არ მოხდებოდა. გადარჩებოდა ადეიშვილიც და იქნებ მალალაშვილი, ქაჯაია და მკვლელობის სხვა მონაწილეებიც ასცდენოდნენ ბოროტმოქმედების გზას.

„ოჯახური რელიქვია“ მეტად საყურადღებო და ჭკვიანი სასწავლებელი წერილია, — ნათქვამია **მ. ჩობანიძის** წერილში, რომელიც მან წულუკიძიდან მოგვწერა.— ყოყონა, თავგასული, მოხულგნო ელემენტის ხელში ცივი იარაღი რომ საშიშია და ხშირად დანაშაულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება, ამას მტკიცება არ უნდა. განა შეიძლება ბუხარში ბომბი შეინახონ?! მაგრამ, ჩემი აზრით, დანის ტარება საერთოდ სახიფათო და შეუწყნარებელია ყველასათვის.

ზოგი ასე მსჯელობს: მე ხომ ხულიგანი არა ვარ, წესიერი კაცი ვარ, დანა კი საჭიროა. ზოგჯერ ფანქრისთვის, ხილის გასაფცქვნელად ეგდოს ჯიბეში. არა, არ არის მართალი ასეთი მსჯელობა. დანის ტარების მავნე ჩვევა უნდა აღკვეთოს ყველამ, დიდმა და პატარამ. ჩვენს რაიონში მოხდა ასეთი შემთხვევა. ღამით სოფლის მოედანზე კლუბთან, ახოსოიანების დაწყების მოლოდინში, იდგა ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. ხუმრობდნენ, ერთმანეთს უბიძგებდნენ, ძიგძიგაობდნენ. ამ დროს ერთ-ერთის გაშლილი დანა სჭიროდა ხელში და სრულიად შემთხვევით სასიკვდილოდ დაჭრა ამხანაგი. ასე დაღუპა დანამ და ბრმა შემთხვევამ შესანიშნავი ახალგაზრდა, მეთერთმეტე კლასის წარჩინებული მოსწავლე ც-ლა.

— „არა, ცივი იარაღისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება შეუწყნარებელია“.

ასეთივე აზრია გამოთქმული ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მასწავლებლის **ი. ხაჩიძის** წერილში. ეი რას გვწერს იგი:

სტატიაში „ოჯახური რელიქვია თუ დანაშაულის იარაღი“?! ხაზგასმით არის აღნიშნული საწარმოებში საამქროთა უფროსების, ბრიგადირების, ოსტატების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მკაცრი კონტროლი დაწესონ თავიანთ უბნებზე იარაღის დამზადებისადმი. ეს მართლაც საჭიროა, მაგრამ ცივი იარაღის დამზადება შეიძლება არა მარტო ტექნიკით აღჭურვილ სახელოსნოში, არამედ სოფლის პატარა სამჭედლოშიც. ამიტომ მთავარია თვით იარაღის ტარებისადმი მისწრაფება და ინტერესი ჩავაზმოთ ახალგაზრდობაში. ეს არც ისე ძნელია, თუ ერთსულოვნად დავიარაზმებით.

ჩვენი ადამიანების 97-98 პროცენტი სრულიადაც არ იჩენს იარაღის ტარების სურვილს. ასე რომ 100 კაცში ცივი იარაღის ტარების მოყვარული მხოლოდ 2-3 თუ აღმოჩნდება. ნუთუ უმრავლესობამ ვერ უნდა გაიმარჯვოს ამ უმნიშვნელო უმცირესობაზე?

საქმე ის არის, რომ ზოგჯერ ჩვენც წესიერ ადამიანებად რომ მოგვაქვს თავი, შეუუწყარებელ გულგრილობასა და უდარდელობას ვიჩენთ. ვხედავთ, ჩვენმა ამხანაგმა ქალაქში საკვირაო გასეირნების დროს საღილობის წინ ფინური დანით დაჭრა პური, ან გამოთალა შამფური მწვადისათვის, შემდეგ ისევ ჩაგო ქარქაშში. მის თვალებში ბრწყინვადა სიამაყე, რომ ასეთი, ყველაფერში გამოსადეგი, დანის პატრონია. საღილის შემდეგ კ მთვრალმა იმავე დანით ძარღვები გადაუჭრა თანამესუფრეს.

ცხადია, ის დანა მისთვის სიფხიზლეში რომ მოეშორებინათ, სიმთვრალეშიც ბოროტება არ მოხდებოდა.

ამას წინათ ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი: ერთ-ერთი სასადილოს წინ ხალხი შეგროვილიყო. იქვე ერთი მგზავრი ავტობუსის მოლოდინში გაზეთს კითხულობდა. სასადილოდან ახალგაზრდები გამოვიდნენ. მთვრალები იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანი გაზეთიან კაცთან მივიდა და ჰკითხა:

— აქ რას უცდი, ამხანაგო?

— მანქანას ვუცდი.

— საღ მიდიხარ.

მან დაუსახელა, სადაც მიდიოდა.

— ვერსადაც ვერ წახვალ, შენ აქ სამართალი უნდა აიღოო.

„ბოგი ახალგაზრდის ულირს საქციელს, რამდენი დედა ატირებიათ თავგასულ ხულიგნებს, მტირე საბბთი მკვლელობაც რომ იქნებოდა, და ყოველივე ამას ხშირად საფუძველად უდვეს დანის ტარების ყოველად გაუმართლებელი ჩვეულება.

სამწუხაროდ, ეს ჩვეულება სკოლის წლებიდან იკიდებს ფეხს ახალგაზრდობაში.

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ატარებს ეგრეთწოდებულ ჯიბის დანას. ამაში მათ ჩვენი საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები უწყობენ ხელს. საქმიგანისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიებში იშვიათად იშოვნება ფანქრის სპეციალური სათლელები, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით აქვთ ნაირნაირი დანები.

ბავშვები სკოლაში ფანქრის წათლის საჭიროების მიზეზით იძენენ დანას. ამას მოსდევს მერხებისა და სხვა სასკოლო ინვენტარის დაზიანება და, რაც მთავარია, ეჩვევიან დანის ტარებას, შემდეგ კი არ უჭირთ უფრო „სრულყოფილი“ ცივი იარაღით შეცვალონ იგი.

ჩვენი საწარმოები, სავაჭრო ორგანიზაციები უფრო ღრმად უნდა დაუფიქრდნენ ამას, სკოლამ და ოჯახმა ყოველი ღონისძიებით უნდა აკრძალონ ჯიბის დანების ტარება მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ“.

ავტორთა ერთი ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახის როლზე ახალგაზრდობის აღზრდაში და მოპყავს იმის კონკრეტული ფაქტები, თუ როგორ აფუძებენ ზოგჯერ მშობლები შვილებს უსაფუძვლო და უადგილო გამოსარჩლებით.

„ამ რამდენიმე თვის წინათ ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი, — გვწერს ბათუმიდან **გ. სარჯველაძე.** — ჩემს მეზობლად მცხოვრებმა ერთმა ახალგაზრდამ, მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ დანით დაჭრა ამხანაგი. ხულიგანი დაიპატიჟეს. მაგრამ მშობლების ჩარევით და ხაცნობობით მალე გათავისუფლეს, ახლა იგი კვლავ სკოლაში დადის და ალბათ თავიც ოსსწოს ამხანაგებში ასეთი ფეთრიკეიანი სავსე თავგადასავლითა და „საბოძოლო ნათლობით“. და ზოგი მისი ამხანაგიც, ალბათ ასეთივე ყალი ბარეოდგია ამავე ეკეკაცობაზე, ალბათ ატეხილ-ცემით, ოკოიალებით და შურითაც კი უყურებს ამ ხულიგანს. ძას ხომ კაცი დაეჭრია დანით. ძაგრამ „გავლენიანი“ მშობლები რომ არა, ხულიგანი შესაფერად დაისჯებოდა და ეს „ხვეგბისთვისაც ეკეთა სასწავლებელი იქვებოდა.

ნაწილი მკითხველებისა სავსებით სამართლიანად მეხიბოვდა, რომ ახალგაზრდობაზე ცუდ გავლენას ახდენს და ბულგომბისაკენ უბიძგებს ზოგიერთი ეგზოტიური კიხოსუოათი, რომელსაც ჩვენს ეკრანებზე უჩვენებენ.

მე მინახავს, — ნათქვამია **ც. ჯიოშვილის** წერილში, — რა აღტაცებით უამბობდნენ ახალგაზრდები ერთძალეს ამერიკული კინოფილმის „შესანიშნავი შვიდეულის“ გმირებზე და იხსენებდნენ დაბის ხმარების ეპიზოდებს, თან თავიანთი ჯიბის დანებით გარჯიშობდნენ და ცდილობდნენ მიებაძათ მათი მაგალითისათვის. მოზარდებისათვის ასეთი კინოსურათების ჩვენება არ მგეგაჩნია მიზანშეწონილად.

მკითხველთა წერილებში ხაზგასმულია სპორტის უდიდესი როლი ახალგაზრდობის აღზრდაში. სპორტში უკლებლივ ყველა ახალგაზრდა უნდა იყოს ჩაბმული, ხათქვამია რედაქციის სახელზე გამოგზავნილ ამ წერილებში. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ახალგაზრდები ერთძალნეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში და არა ცემა-ტყეპასა და იარაღის ხმარებაში.

მკითხველთა წერილებში ბევრი სამართლიანი საყვედურია გამოთქმული საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისადმი. მილიციის ყველა მუშაკი სათანადო სიფხიზლესა და პრინციპულობას არ იჩენს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. სწორედ ამიტომ ხულიგნობის, ჩხუბისა და ჯახის ხმარების ბევრი ფაქტი სამწუხაროდ, არ არის რეგისტრირებული, „ავტორიტეტიანი“ ახლობელთათვისაც ბევრ ბოროტმოქმედებას ბევრ ადამიანს ბევრ ხულიგანი თავისუფლად დათარეშობს და ახალ-ახალ „ფეთრიკას“ ეძებს.

ამის ასახი ვერ გაგიგიგიგიგ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს ყველა მუშაკი მეტი პრინციპულობითა და სიფხიზლით რომ ეკიდებოდეს თავის საქმეს.

ცივი იარაღის ტარების ჩვეულება, იარაღისადმი დაუდევარი დამოკიდებულება დანაშაულობის ერთ ერთი მიზეზია. იარაღის ტარების მავნე ჩვევას ერთსულოვნად, ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ებრძოდნენ მილიციის ორგანოები, სკოლა, ოჯახი, მთელი საზოგადოებრიობა. ეს ქმარა აღშფოთება და გულისწყრომა გამოთქვეთ ჩაფენილი დანაშაულის გამო, ნამდვილ წესიერ მოქალაქეს მოეთხოვება ებრძოლოს დანაშაულის წარმოშობის მიზეზებს, ძირშივე აღმოფხვრას ისინი.

ასეთია ჩვენი მკითხველების ერთსულოვანი აზრი.



მადანი რომ არ დაიკარგოს

მდინარე ყვირილას თან მიაქვს მარგანეცის ათეული ათასობით ტონა ნარჩენი. ამის გამო არის, რომ იგი ასე შავია. გადაწყდა წაართვან ყვირილას ეს სიმდიდრე და სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩააყენონ. ამიტომაც შენდება აქ ჩვენს ქვეყანაში პირველი საფლოტაციო ფაბრიკა, რომელიც გაამდიდრებს მარგანეცს ფლოტაციის წესით. ამ უნიკალურ ნაგებობას აშენებს „ჭიათურმარგანეცშენის“ სამრეწველო საწარმოოს მშენებლების სამმართველოს კოლექტივი. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე დაამთავრონ ფაბრიკის პირველი რიგის მშენებლობა. **სურათზე:** რკინის კონსტრუქციების მონტაჟი ჭიათურის საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობაზე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

„კომუნისტს“ ატყობინებენ

ქარხანა ურეკლამაციოდ

მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა შესანიშნავ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თბილისის რეზინის ნაწარმის ქარხნის კოლექტივმა. აქ მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საწარმოს ტერიტორია მშენებლობის მოედანს მოგაგონებთ. შენდება ახალი სრულყოფილი საამქროები, წარმოებს თანამედროვე ტექნიკის დაზგა-დანადგარების მონტაჟი.

სულ მცირე დროში აშენდა ახალი კორპუსი ტექნიკური რეზინის საამქროსათვის. დაიდგა ხუთი ახალი ჰიდრავლიკური წნები და უნივერსალური საგლინავი დაზგა. საამქრო, რომელიც ამ დღეებში ამუშავდება, აღჭურვილია სამამულო ტექნიკით. აქ პროდუქციის გამოშვებას წინა წელთან შედარებით ათჯერ და უფრო მეტად გაზრდიან, ამასთან შესამჩნევად აამაღლებენ პროდუქციის ხარისხს.

რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნის დაკვეთით აქ უნდა დაამზადონ პროდუქციის შესანახი რეზინის ტომრები. ამ დაკვეთის შესრულება კი მოითხოვს სპეციალური დანადგარებს და შენობას. ქარხნის კოლექტივმა უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. აშენდა სპეციალური კოპუსი, დამონტაჟდა საჭირო მოწყობილობა. მეორე კვარტალში კაპროლაქტამის წარმოება საჭირო რაოდენობით მიიღებს რეზინის ტომრებს.

ზემოაღნიშნულ და მთელი რი

ზალზეები გმობენ აგრესორებს

შანტაჟის პოლიტიკა

სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირთა ერთობლივი განცხადება

მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების პროფცენტრების ინიციატივით სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის გამო ვიეტნამში.

დღეისათვის ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს: ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭომ, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ცენტრალურმა გამგეობამ, მონღოლეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ.

ჩვენი ქვეყნების მშრომელებსა და პროფკავშირებში, ნათქვამია განცხადებაში, უდიდეს აღშფოთებას იწვევს ცნობები, რომ ამერიკელი იმპერიალისტები სულ ახალ ახალ აგრესიულ მოქმედებას მიმართავენ ვიეტნამში, ცდილობენ გაფართოონ ომი თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და გაავრცელონ იგი მომავე სოციალისტურ ქვეყანაზე — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე...

ჩვენი ქვეყნების ყველა მშრომელის სახელით, ხაზგასმულია განცხადებაში, მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესიული მოქმედება ვიეტნამის რესპუბლიკის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოიყვანონ მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამიდან, განუხრელად დაიცვან ჟენევის შეთანხმებანი. (საკდესი).

მსოფლიოს ქალთა აღშფოთება

ბერლინი, 5 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ჯარების მხეცობათა ახალი აქტების გამო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ მოუწოდა ქალთა ყველა ეროვნულ ორგანიზაციას ფედერაციის თავმჯდომარის ელენ კოტონის განცხადების საფუძველზე გააძლიერონ ბრძოლა ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, შეგროვონ საპროტესტო ხელმოწერა, მოაწყონ საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებისა და საკონსულოების წინ, რათა დაგმონ ამერიკის ჯარების მოქმედება ვიეტნამში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ სთხოვა ყველა ეროვნულ ორგანიზაციას ყოველი ღონისძიებით გააფართოონ მამაცი ვიეტნამელი ხალხის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა და დახმარება მის სამართლიან ბრძოლაში.

სამდივნომ აგრეთვე სავსებით დაუჭირა მხარი პროფესორ ბერნალის ღია წერილს მშვიდობის მომხრეთა ყველა ორგანიზაციისადმი.

სამდივნოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო ფართოდ გაავრცელოს მართალი ინფორმაცია იმ ამბების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ამერიკის აგრესიას ვიეტნამში.

სამდივნომ ვიეტნამის ქალთა კავშირს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სოლიდარობას უცხადებს და სავსებით მხარს უჭერს ვიეტნამს.

სამდივნომ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონსონს და დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს, რომელშიც მოუწოდებს განსახორციელოს ყველა ღონისძიება, როგორიც კი შესაძლებელია, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობა მსოფლიოში.

განდიტეგის ზარალი

ჰანოი, 6 აპრილი. (საკდესი). სამი თვის განმავლობაში სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარებს ბრძოლებში დაუზოცეს, დაუჭრეს და ტყვეთ ჩაიგდეს დაახლოებით 35 ათასი კაცი, მათ შორის 1.086 ამერიკელი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს საიგენტო „განთავისუფლებას".

პარტიზანებმა ჩამოაგდეს, მოსპეს და დაიჭიანეს აეროდრომებზე ამერიკის 205 თვითმფრინავი, ჩაძირეს 44 გემი, მოსპეს 250 სამხედრო მანქანა და ხელთ იგდეს სხვადასხვა კალიბრის 700 ზარბაზანი.

ჰაერის მეკობრეები ჩამოაგდეს

ჰანოი, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის მორიგი მეკობრული თავდასხმის დროს სახალხო არმიის ნაწილებმა ჩამოაგდეს ოთხი და დაიჭიანეს ბევრი თვითმფრინავი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ამერიკის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს ნგე ანის პროვინციაში, ერთი კი ვინ ლინის რაიონში.

„ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲚᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ!"

ნ. ტ. ფედორენკოს გამოსვლა

◆

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ კომიტეტის მუსამე სესიის პირველი სხდომა, რომელმაც უნდა მოამზადოს აგრესიის ცნების განსაზღვრა. მუშაობის დასაწყისში კომიტეტმა კენჭის უყრელად აირჩია თავმჯდომარედ სალვადორის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალვარეს ვიდაურე, ვიცეთავმჯდომარედ — კვიპროსის წარმომადგენელი როსიდეი.

სხდომაზე პირველმა აიღო სიტყვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ. მან მოაგონა კომიტეტის წევრებს რომ თითქმის 15 წლის წინათ, 1950 წელს, საბჭოთა მთავრობამ პირველად დასვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე საკითხი, რომ მოემზადებინა და გენერალურ ასამბლეაზე დაემტკიცებინა აგრესიის ცნების განსაზღვრა.

ამ განსაზღვრას საფუძვლად უნდა ედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებანი, წესდება კი კრძალავს, რომ ერთი სახელმწიფო მეორეს დაემუქროს ძალით ან ძალის გამოყენებით, ანდა სხვაგვარად, რაც კი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების მიზნებს. განსაზღვრას უცილობლად დადებითი მნიშვნელობა უნდა ექნეს აგრესიის აქტების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის. აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხისადმი ასეთი მიდგომა სავსებით სწორი იყო და არის, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა.

